


თასი 6 კაპ.



**ზასი გაზეთისა:** წლის დამლევამდე 1 მ. 60 კ.,  
სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 6 კ.  
სედის მოწერა მაღდება რედაქციაში : (საპიორის  
ქუჩა, № 43) და წერა-კათხვის საზოგადოების  
მაღდებაში.

## კოველ კვირეული სახალხო გაზეთი

### ზ ი ნ ა ა რ ს ი

როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე. — „ხალხი“, ლექსი დუტუ მეგრელისა. — გლეხის წერილები, ქართლელი გლეხისა. — ქარი, შადლისა. — უი ჩიტაქე, ამხანაგისა. — სოფლის ბობოლები, გლეხიშვილისა — ჩვენებური ამბები. — რუსეთი. — ქრისტი ამ ქვეყნად, ტა ისა.

„გლეხის“ რედაქცია დღი არის ყოველდღი კვირა. უქმე დღების გარდა, დღის 10 საათიდან 12 საათამდების.

„გლეხის“ კანტორა თავის აგენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ თითო ცალი გაზეთისა მათ დაეთმობათ  $4^{1/2}$  კაპ.

გარდა ამისა კანტორა უმორჩილესად სოხოეს აგენტებს ანგარიშის გასწორება დააჩქარონ და ეცადნენ თვეში ორჯერ წარმოადგინონ გაყიდულ გაზეთის ფული.

როგორ უნდა შოვაწყოთ საქმე

გლეხისა და იბრძოლოს მიწისა და თავისუფლებისათვის; ერთიც და მეორეც დღეს მისთვის აუცილებლად საჭიროა. თუ გლეხს მიწა არ ექნა, ისევ მშიერი და ლატაკი იქნება, თუ გლეხმა თავისუფლება არ მოიპოვა, ისევ სხვისი ყმა და მონა იქნება.

„მიწა და თავისუფლება“, გაიძახიან მთელი რუსეთის გლეხები; მიწა და თავისუ-

ფლება უნდა მოიპოვონ გლეხებმა. მაშვნახოთ, როგორ უნდა მოეწყოს მიწის და თავიბუფლების საქმე, ვის ჩამოერთმევა მიწა და ვინ ისარგებლებს მიწით? როგორ უპატრონებს თავის თავს განთავისუფლებული მშრომელი გლეხისაცობა და მასთან მთელი მუშა ხალხი?

მთელ რუსეთში და კერძოდ ჩვენს საქართველოში სამუდამოთ მოისპობა მიწის საკუთრება. ამიტომ, რაც დღეს მიწაა ხელმწიფის და მისი ნათესავების, ეკლესია-მონასტრების, ხაზინის და კერძო მემამულების ხელში, სუკველა გადავა მშრომელი ხალხის განკარგულებაში. არავის არ შეუძლია დაესაკუთროს მიწას, ვერავინ იყიდის მიწას, ვერც გაყიდის, ვერც დააგირავებს, ვერც გადასცემს თავის მემკვიდრეს; ვერავინ დაებატრონება მიწას თავის ნებით, მიწა მთელი ხალხისა იქნება, მიწა იქნება საზოგადო, საერთო საკუთრება და მხოლოდ ხალხს, საზოგადოებას, შეუძლია გადასცეს მიწა ამა თუ იმ კაცს სასარგებლოთ და დასამუშავებლად.

ვის აქვს ნება ისარგებლოს მიწით? ყოველს სრულ წლოვანს აღამიანს, იქნება იგი ქალი თუ კაცი, სულ ერთია, — შეუძლია მოითხოვოს საზოგადოებისაგან მიწა დასამუშავებლად იმდენი, რამდენიც საჭიროა მისი თავის და მისი ოჯახის დასარ-

ჩენად. თუ მას სხვა შემოსავალიც აქვს, მაშინ მიწა მიეცემა ნაკლები. არავის არ შეუძლია მიიღოს იმაზე მეტი მიწა, რამდენის დამუშავებას მოახერხებს თვითონ, საკუთარის ძალონით, ან თავის ოჯახის შემწეობით. მიწა შეუძლია მოითხოვოს როგორც ცალკე ადამიანს, ისე მთელს ოჯახს, ამხანაგობას, სოფელს ერთად. არ შეიძლება მიწის იჯარით გაცემა, ტოლო თუ ვისმე ჰქონდა მიღებული მიწა და მუშაობდა მიწაზე, მაგრამ შემდეგ უძლორობისა ან სხვა რამე უძედურობის გამოვერ მოახერხა მუშაობა, მას შეუძლია დროებით გასცეს ეს მიწა იჯარით.

ყოველს სრულწლოვანს ქალსა და კაცს შეუძლია მოითხოვოს მიწა სახლის დასადგმელად, რომელშიაც იცხოვრებს თვითონ, ან სხვა შენობისათვის, რომელშიაც ის და მისი ოჯახი საკუთარის ძალონით აწარმოებენ რაიმე საქმეს (მაგალითად, აქვთ სახელოსნო). ყველას შეუძლია აგრეთვე უფასოთ მიიღოს შეშათავის ბინის გასათბობად და საკუთარი საჭიროებისათვის, ქვა და ხე-ტყე სახლის ასაშენებლად, სარი, წნელი და სხვა, რაც კი დასჭირდება თავის ოჯახში სახმარებლად. ვისაც უნდა მიწაზე გასაჭიროვებელი სახლი ააშენოს, ან ისარგებლოს ხე-ტყით, ქვით, მაღანებით, ან მიწის სხვა სიმდიდრით ქარხანასა თუ ფაბრიკისათვის, ფულის მოსაგებად, — იმან ყველაფერში ამაში ფასი უნდა გადაიხადოს — საზოგადოების სასარგებლოთ.

ასე უნდა მოეწყოს საზოგადოთ მიწის სარგებლობის საქმე. მიწა უნდა გადაეცეს დასამუშავებლად მიწის მუშებს. ვინც იმუშავებს, მხოლოდ იმას შეუძლია მიიღოს მიწა, მხოლოდ იმისია მიწა. მაგრამ მიწა არავის არ გადაეცემა სამუდამოთ, მიწა მიეცემა მშრომელებს მარტო დროებით. ათი თორმეტი წლის შემდეგ ყოველთვის მოხდება ხელახლი განაწილება, დაყოფა მიწებისა. ეს იმიტომ, რომ ზოგს შეიძლება მეტი დასჭირდეს მიწა, ვიდრე უნდოდა წინეთ, ზოგს კიდევ — ნაკლები: ზოგ ოჯახში თუ რვა სულია, მაგალითად, შეიძლება მერე

თორმეტი იყოს, ან ნაკლები. მაშინ ხომ ამ ოჯახს უნდა მოუმატოთ მიწა, უნდა მოუკლოთ. შეიძლება ისეც, რომ ვინმემ მთლად მიატოვოს სოფელი და მიწის მუშაობა, მაშინ მისი მიწა სხვას უნდა გადაეცეს.

ყოველს სრულწლოვანს ქალსა თუ კაცს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს მიწა, მაგრამ მეტყვით: ზოგს სოფელს ბევრი აქვს მიწა, ზოგს ნაკლები, — როგორ უნდა დააკმართოს იმ სოფლის მუშები, სადაც ცოტაა მიწა? რასაკვირველია, სადაც მიწა არაა, იქ ძალათ ვერ გავაჩენთ მიწას. ამისთანა შემთხვევაში სოფლის ნაწილს მიეცემა მიწა იქ, სადაც იშოვება, ან ისე მოეწყობა რომ ყველა გლეხებს ზოგი მიწა თავის სოფელში მიეცემა, ზოგი სოფლის გარეთ. აგრეთვე ტყე და საძოვარი ყველგან არა საყოფი, ზოგან სრულებითაც არ მოიპოვება; ამისთანა სოფელს სხვა ადგილებში მიეცემა ტყე და საძოვარი.

ვინ უნდა მოაწყოს მიწის საქმე, ვინ უნდა გაანაწილოს მიწები და ადევნოს თვალური, რომ ყველას მიეცეს მიწა იმდენი, რამდენიც საჭიროა და რამდენის დამუშავება შეუძლია? რასაკეირველია, მიწის პატრონი და მომწერიგებელი უნდა იყოს ის ხალხი, ვინც სარგებლობს მიწით, ვინც მუშაობს. მიწის საქმეს მოაწყობს ის, ვინც მიწაზე მუშაობს. ყველი თემის (სოფლის) მიწის მუშები უნდა განაცემდენ იმ მიწებს, რომლებიც მიწერილი იქნება თემზე. სოფლის ყრილობა გამოიძიებს, ვის რამდენი დასჭირდება მიწა და ისე დაურიგებს ყველას; უპატრონებს, რომ არავინ გააოხროს სახმარებლო მიწა, არავინ გააფუჭოს ტყე. სოფლი შეატყობინებს სამამასახლისოს, თუ არ ეყოვა ის მიწა, რომელიც სოფელზეა მიწერილი. სამამასახლისოს მიწის მუშები პირადად და თავის არჩეულ რწმუნებულების შემწეობით უნდა უპატრონონ და განაგონ ის მიწები, რომლებიც მიზომილი იქნება სამამასახლისოს საჭიროებისათვის. რამდენიმე სამამასახლისო შეა-



დფენს ერთ მაზრას და მაზრის მიწების საქმეს მოაწყობენ პირადად, ან ოწმუნებულების შემწეობით მთელის მაზრის მიწის მუშები. რაც გუბერნიაში მიწებია, ამას უბატრონებენ გუბერნიის მუშები. მთელი საქართველოს მიწები უნდა განაგონ მთელი საქართველოს მუშა ხალხის არჩეულმა კაცებმა და მთელი რუსეთის მიწებს უნდა უბატრონონ მთელი რუსეთის ხალხის მიერ არჩეულმა ოწმუნებულებმა.

ამ გვარად თვითონ მიწის მუშა ხალხი პირადად ან ოწმუნებულების შემწეობით გაუძლევება და მოაწყობს მიწის საქმეს. ასწერს, თუ სად რამდენიდა როგორი მიწაა, რომელ თემს, სამამასახლისოს, მაზრას და გუბერნიას რამდენი სჭირია სახნავი მიწა, საძოვარი თუ ტყე. გაანაწილებს მიწებს საჭიროების დაგვარად, უბატრონებს სახოგადო ქონებას, ეცდება და თვალყურს ადევნებს, რომ არავინ არ დაიჩაროს და ყოველთვის ჰქონდეს მიწა იმას, ვისაც უნდა მიწის მუშაობა.

მუშა გლეხკაცაბისათვის პირველი საჭიროება მიწაა და თვითონ გლეხობამ, მუშა ხალხმა უნდა მოაწყოს მიწის საქმე. დღევანდელი მთავრობის იმედი ნულარავის ექნება, ის ვერაფერს გააკეთოს ხალხისათვის. სახალხო საქმეს თვითონ ხალხმა უნდა მოჰკიდოს ხელი.

### ხ ა ლ ხ ი.

ხალხი ლახარი, ხალხი მონა  
მეზიზლებოდა ;  
ხალხი, ვერ მცნობი თავისს თავის,  
მებრალებოდა  
და ვკითხულობდი : „დადგებს დრო,  
იგი განახლდეს ?  
შეიგნოს თვისი ძლიერება,  
აღსდგეს, ამალლდეს  
და შეებრძოლოს მხნე, მედგარი,  
მტარვალ-მჩაგვრელებს,  
რომ ქედ მოხრილი, აღარ ღვრიდეს  
სისხლისა მცრელებს ;

რომ მოიპოვოს სასურველი განვითარება  
და მოიშოროს სამუდამოდ  
ტანჯვა-წვალება“ ? ..  
\* \* \*  
ხმა იღუმალი, დადგებაო,  
მეუბნებოდა ;  
გულიც ამ ტკბილ წამს მოუთმენლად  
ელოდებოდა,  
და ჰა კიდევაც დადგა ეს დრო,  
დრო სანატრელი,  
როცა ჰქონს ქვეყნად, თან სამო,  
თან საშინელი  
ხალხის ბრძოლის ხმა, თითქო თვით  
ლელაქს, ღრიალებს (ზღვა  
და თავსზარსა სცემს დაშინებულ  
მჩაგვრელ-მტარვალებს ! ..  
ხალხი მებრძოლი, ხალხი გმირი  
სულს მინეტარებს ;  
ხალხი შემგნები თავისს ძალის  
მაფრთოვნ-მახარებს ! ..

1906 წ.

დუაუ შეგრები

## გლეხის წერილები

— : —  
სათათბირო და ხალხი.

ჩენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ სახელმწიფო სათათბირო ხალხს ვერც მიწას მისცემს და ვერც თავისუფლებას. ვერ მისცემს იმიტომ, რომ მთავრობა სათათბიროს კრიჭაჭი უდგა და ხელის განძრევის ნებას არ აძლევს.

„გლეხის“ პირველ ნომერში მე ვუმბე მკითხველებს მთავრობისა და სათათბიროს ბრძოლის ამბავი. მიწის შესახებ ორივეს დიდი კინკლაობა მოუვიდათ და მაშინ საქმე იმით გათავდა, რომ სათათბირომ კარგად გამოლანდა მინისტრები და გაუშვა. იმის შემდეგ მთავრობა ისევ თავის გზას დაადგა, სახელმწიფო სათათბირო კი მიწის შესახებ კანონის შედეგნას შეუდგა. ვინ იცის რამდენი სიტყვა დაიხარჯა ამ კანონზე, ვინ იცის კიდევ რამდენის დახარჯავდენ, მაგრამ აღარ დასცალდათ: ხელმწიფებ სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა.

რა მოხდა? რად დაითხოვა? რად გაუწყრა ჩვენი „გულკეთილი“ და „მოწყალე“ ხელმწიფე ხალხსა და იმის წარმომადგენლებს?

აი რა მოხდა და აი რად გაუწყრა „მამა“ ხემწაფე სათათბიროს:

ხალხის წარმომადგენლებმა რომ მაწაზე დაიწყეს ლაპარაკი, ერთმა ალთას გაიწია, მეორემ—ბალთას, მესამემ—მარჯვნივ და მეოთხემ—მარცხნივ. მსხვილი მემამულები აშობდენ, მიწა კერძო საკუთრებაა და არავის ნება არ უნდა ჰქონდეს ძალით ჩამოართვას სხვას მიწამ. თუ გლეხს მიწა აკლია, ციმბირში გადავასახლოთ და იქ იმოდენა მიწა მივცეთ, რამოდენიც მას სურდესო.

მეორე—„კადეტების“ პარტია, რომელიც უმთავრესად ვექილებისგან, ექიმებისგან და პროფესორებისგან შესდგება, ასე აპირობდა მიწის საქმის მოგვარებას: ეკლესიებს, მონასტრებს და საუფლისწულო მმართველობას (ეს მამული ხელმწიფებს და იმის ნათესავებს ეკუთვნის) მიწები უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს ხაზინას, რომელიც ამ მიწებს გლეხებს დაურიგებს... თუ რომელიმე მემამულეს დიდი მამული აქვს და გლეხებს მისი ყიდვა უნდათ, მემამულეს ნება არ უნდა ჰქონდეს უარი უთხრას მას. ეს მამული იმ ფასად უნდა დაეთმოს გლეხებს, რა ფასადაც დაათასებენ შეამავლები.

მესამე პარტია—შრომის ჯგუფი თხოულობდა ყველა მამულების უფასოდ ჩამორთმევას. ეს მამულები უნდა დაურიგდეს იმათ, ვინც მიწაზე მუშაობს და მიწით ცხოვრობს.

სამივე პარტია ერთმანეთს შეება. ატყდა ერთი ყაყანი და ვაი ვაგლახი. ბოლოს გამარჯვება „კადეტებს“ დარჩათ, რადგან ისინი ყველაზე მეტნი იყვენ სათათბიროში. „კადეტები“ შესაფერ კანონის შედგენას შეუდგენ, მაგრამ მთავრობამ დროზე უხელოთა და პირში ბურთი ჩასჩარა.

რათ მოაქცა ესე მთავრობა? რა იყო „კადეტების“ კანონში სახიფათო? ბევრი არაფერი, მაგრამ მთავრობას მაინც პატარა ხიფათი მოელოდა. საქმე. იმაშია, რომ მთავრობის ყოველ წევრს, მეფიდან დაწყებული გუბერნატორამდის, ბლომა მამულები აქვთ. „კადეტების“ კანონის ძალით ამ მემამულებისა და

მათს ურიცხვებ ნათესავებს მამულების მიერთმეოდათ „სამართლიან“ ფასად, საგვარეულო ის უნდათ, რომ მიწაში ერთი ათად აიღონ. ეს კანონი მათვის ხელსაყრელი არ იყო, იმიტომ ხრიკი მოსდეს სათათბიროს და დაკეტეს.

ორიოდე კვირის წინად მთავრობამ ნამდვილი პროვოკაცია ჩაიღინა. მან გამოუცხადა მთელ რუსეთის გლეხებს, რომ სათათბირო ოქვენ ვერაფერს გიშველითო, სათათბირომ რომ მიწა მოგიმატოთ, თქვენთვის უარესი იქნება, რადგან გადასახადი მოგემატებათ და შემოსავალი კი-არაო; ამიტომ ფრთხილად იყავით და სათათბიროს ნურაფერს დაუჯერებთ, ჩვენ კი დღემდისაც ოქვენთვის ვზრუნვლით და დღეს იქითაც არ მოგაკლებთ ჩვენ ზრუნვასო. ასეთი ისულელე წამოროშა მთავრობამ და ასე აპირობდა ხალხის მოტყუებას, მაგრამ წინ გადაელობა სათათბირო და გამოაცხადა, რომ მთავრობამ კანონი დაარღვია და სახელმწიფო სათათბიროს საქმეში ჩაერიაო.

მთავრობამ მართლა დაარღვია კანონი, რადგან ისეა შეჩვეული კანონის დარღვევასა და თვითნებობას, რომ უამისოდ ერთი დღეც არ შეუძლიან ცხოვრება.

ეს სათათბირომ, რასაკირველია, იწყინა და მთავრობას სამაგიეროს გადახდა მოუწოდება. მან განიხრას თავის მხრით გამოეცა მოწოდება და აქსნა, რომ მთავრობა ხალხის მოტყუებას აპირობს. მაგრამ დაიწყო თუ არვე სათათბირომ ამ მოწოდების წერა, ხელმწიფემ აღარ აცალა და გამოაცხადა: სათათბირო ხალხს აღელვებს, არაფერს აკეთებს და ამიტომ მას ვითხოვ და შვიდი თვის შემდეგ ახალ სათათბიროს მოვიწვევო.

ჯერ ერთი, რა უნდა ქნას ხალხმა შვიდი თვის განმავლობაში? მეორე: ვისი იმედით უნდა იყოს შვიდ თვეში და მესამე: უნდა მოუცადოს მეორე სათათბიროს, თუ სხვა გზას მიმართოს?

შვიდი თვის განმავლობაში მთავრობა კარგად მოასწრობს აუარებელ სოფლის დაწვას, დანგრევას, აუარებელ ხალხის დახვრეტას და ციხეში დალპობას, აუარებელ უკანონობის ჩადენას და ხაზინის გაქურდვას. ხალხი ამ შვიდ თვეში უნდა გამოიცადოს და მისი ბედიც ამ შვიდ თვეში გადაწყდება:



ან სირცეილი და ულელში შებმა, ან სიკვ-  
დილი, ან გამარჯვება!

ან მუდმივი მომობა, ან მიწა და თავისუ-  
ფლება!

ან ვაჟყაცური ბრძოლა და სახელის მო-  
ხვეპა.

სხვა გზა არ არის: ვისაც რა გზა მოსწონს,  
ის გზა აირჩიოს.

ჩვენ დღემდის სულ იმას ველოდით, რომ  
ან ხელმწიფე მოგვცემს მიწას და თავისუფლე-  
ბას, ან მინისტრები მოგვცემენ, ან სახელ-  
მწიფო სათათბირო. ველოდით და ვუყურებ-  
დით, მაგრამ ღონისძიები თვალები დაგველია  
და ხახამშრალები დავრჩით: არც ხელმწიფემ  
მოგვცა რამე, არც მინისტრებმა და არც სა-  
თათბირომ. ის ხომ წინადაც ვიცოდით, რომ  
მთავრობა თუ წავართმევდა რასმეს, თორემ  
მოცემით არა მოგვცემდა; მაგრამ ამ სათათ-  
ბიროს რაღას შევერებივართ? ინგლისში,  
საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგანაც დი-  
დი ხანია რუსეთის სათათბიროზე ბევრად უკე-  
თესი პარლამენტები არსებობს, მაგრამ დღემ-  
დის მათ ხალხისთვის არც მიწა მიუციათ და  
არც თავისუფლება. რუსეთის სათათბირო რა-  
ღა წითელი კოჭი იყო, რომ ხალხისთვის მიე-  
ცა რამე!

არა, ჩვენ სათათბიროსაგან არაფერს არ  
უნდა მოველოდეთ. თუ რამე გვინდა და თუ  
რამე შეგვიძლიან, ჩვენივე ხელით უნდა ვი-  
შოვთ მიწაც და თავისუფლებაც. სხვას ტყუ-  
ლად ნუ შევჩერებივართ ხელში, თორემ, ხომ  
იცით, სხვის იმედით დარჩენილი ყოველთვის  
მოტყუებული რჩება.

მაშ ასე: სახელმწიფო სათათბირო დაით-  
ხოვეს. ჩვენ არასდროს არ გვქონია სათათბი-  
როს იმედი, ამიტომ მისმა დათხოვნამ სულაც  
არ შეგვაწუხა. ჩვენ მხოლოდ ჩვენ ნაცად  
ერთობისა და ძმობის იმედი გვქონდა და დღე-  
საც ამ ერთობის იმედით ვცხოვრობთ. ჩვენ  
მხოლოდ ის ვიცით, რომ საბოლოო ბრძო-  
ლის დღე გვიახლოვდება და ამიტომ საბრ-  
ძოლველად ვემზადებით; ჩვენ მხოლოდ ის ვი-  
ცით, რომ პაერში სისხლის სუნი ტრიალებს,  
საიდგანლაც პახა-ჭუხი ისმის და აღმოსავლე-  
თიც ცეცხლის ფერად შეიღება.

საცაა, მზე უნდა ამოვიდეს! დაალ, უნდა

ამოვიდეს და ჩვენც მზად ვართ გაწმენდილება  
გასპეტაკებულნი და საბრძოლველად მომზა-  
დებულნი ამაყად დავუხვდეთ სიკვდილს, რო-  
მელიც მოგვიტანს მიწას და თავისუფლებას!

საცაა, მზე უნდა ამოვიდეს!

**ქართლელი გლეხი.**

## ჯ ა რ ი

ამ ჟამად თითქმის ყველა სახელმწიფოები  
თავიდან ფეხებამდის იარალში სხედან. დიდი  
სახელმწიფოები ყველაზე მეტ ფულს ჯარ-  
ზე ხარჯავენ. რუსეთი, საფრანგეთი, ინგლი-  
სი და გერმანია წელიწადში ათას ექვსას მი-  
ლიონ მანეთს ანდომებენ ჯარის შენახვას.  
ამოდენა ფული რომ თოფებისა და ზარბაზ-  
ნების გაკეთების მაგივრად ხალხის სწავლაზე  
და განათლებაზე დაეხარჯათ, დდეს ასეთი სიბ-  
ნელე, გაუნათლებლობა, სილატაკე და უსა-  
მართლობა აღარ იქმნებოდა.

ხალხმა რომ ამოდენა ხარჯსა და ამოდენა  
ხალხის ტყუილ-უბრალოდ მოცდენას ველარ  
გაუძლო, ბოლოს ხმა ამოილო და მოითხოვა  
მუდმივ ჯარის მოსპონბა და მის მაგივრად მი-  
ლიციის დაარსება.

ეგ კარგი საქმეა — იტყვის ზოგიერთი, —  
მაგრამ ერთი სახელმწიფო რომ მეორეს დაე-  
ცეს და იკლოსო? ჯერ ერთი, ერთ ხალხს მეო-  
რესთან გასაყოფა არაფერი აქვს და ჩხუბსაც არ  
დაუწყებს. ერთმანეთს მხოლოდ მდიდრები და  
მეფეები ეხუბდებიან. ისინი უცხადებენ ხალხს,  
ამა და ამა ხელმწიფეს ომი გამოუტადეთ და  
იომეთო. მეფე და მდიდრები შინ სხედან და  
ფუფუნებაში არიან, მშრომელი ხალხი კი თა-  
ვის ცოლ - შეიის, ოჯახსა და სახლ - კარს  
ღვთის ანაბარად სტოვებს და ოში მიდის. იქ  
ის უბედური ან ბრძოლის ველზე კვდება, ან  
იკარგება საღმე, რნ იქრება, ან ტყვედ უვარ-  
დება მტერს ხელში და ამ რიგად წვალობს და  
იტანჯება. შინ კი ამ ღროს ცოლშეიილი და  
დედა იმის მოლოდინში თვალებს იბრმავებენ,  
დილიდან საღამომდის გზაზე უჭირავთ თვალი  
და ელიან: ან ეხლა მოვა ჩვენი მარჩენელი  
და ან ეხლაო. ელიან თავინთ მაცოცხლე-  
ბელს, მაგრამ ის აღარ ბრუნდება. არასდროს  
აღარ ბრუნდება! არის მოელ ქვეყანაზე ერ-

თო კივილი, წივილი, ტირილი და ვაი ვაგლანი. ერთს შვილი მოუკლეს, მეორეს — ძმა, მესამეს — მამა, მეოთხეს — ქარი და მეხუთეს — მეგობარი და ძმა-ამხანაგი. რათა, რისოვის, რა დააშავა? ვის რა წაართვა, ან იმას ვინ რას ართმევდა, რომ ორ ერს ერთმანეთს მიუსევენ ხოლმე და აულეტინებენ? მეომრებს ერთმანეთისთვის არაფერი დაუშავებიათ; იმათ საჩხუბარი არაფერი აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ საჩხუბარი აქვთ ორივე ქვეყნის მუქთახორა მდიდრებს, რომელთაც შეძენილი მილიონები არ ჰყოფნით და ცდილობენ ერთმანეთს წაგლიჯონ რამე.

შარშანწინ იაპონიასა და რუსეთის ხელმწიფებს ჩხუბი მოუკიდათ ჩინეთის მიწაზე. ეს მიწა არც იაპონიას იყო და არც რუსეთისა, მაგრამ ორივემ დაბალი ღობე იპოვეს და მისი მოტაცება მოინდომეს. ატყდა ჩხუბი. ორივე ხელმწიფემ გამოუტადა თავთავიანთ ხალხს: არიქა, ჩვენს სამშობლოს ხიფათი მოელის და უშველეთო. რის სამშობლო! რის ხიფათი! მაჯურია არც რუსების სამშობლო იყო და არც იაპონელებია. ის ქვეყნა ჩინელებს ეკუთვნოდა, მაგრამ რაღაც ჩინეთი სუსტი სახელმწიფო იყო და ვერ მოახერხა სვავების მოგერება, ამიტომ განზე გადგა და დაუწყო ყურება. წაეკიდენ ერთმანეთს რუსეთი და იაპონია. ორი წელიწადი იომეს, რამდენიმე ათასი მილიონი ზღვაში გადაყარეს, ერთი მილიონი ხალხი დახოცეს და მერე შერიგდენ. იაპონიამ რუსეთს აჯობა, მაჯურია წაართვა და დიდი ზარალი მიუყენა.

მერე? ხალხმა რა მოიგო? ვის რა დარჩა? მთელ რუსეთში და იაპონიაში რამდენიმე მილიონი დედა ატირდა, რამდენიმე მილიონი ქალი დაქვრივდა, რამდენიმე მილიონი ბავშვი დამობლდა და რამდენიმე მილიონი წვრილ-შვილი დაიმშა. რათა? ვისოვის? რისოვის? რუსეთმა და იაპონიამ რამდენიმე ათასი მილიონი მანეთი დახარჯეს ომზე. მერე საიდან მიიღეს ეს ფული? ხალხისგან, მშრომელ ხალხისგან, მშრომელ ხალხის ნაოფლარისგან და ნაშრომისგან. ვინ დაიხოცა, ვინ დაობლდა, ვინ ატირდა და ვინ დაიმშა ამ ომის დროს? უშეტესად ისევ მშრომელი ხალხი. მაგრამ რა მიიღო სამაგიეროთ ამ ხალხმა?

მიიღო აუგარებელი ცრემლჭრებანჯვა, წვალება, სიმშილი და ვაი-ვაგლანი. მაშ ვინ მოიგო ომით, ვისოვის იყო საჭირო ამოდენა ხალხის გაუბელურება? ვისოვის და, ისევ მდიდრებისთვის, გენერლებისთვის, მთავრობისთვის და მუქთახორა გველაძუებისთვის. იაპონიის ომში მშრომელმა ხალხმა გაიმარჯვა და გამარჯების ნაყოფი კი იაპონელ მდიდრებს დარჩათ. რუსეთი დამარცხდა, მაგრამ ვაჭრებსა და ქურდბაცაცა გენერლებს არაფერი წაუგიათ: ვაჭრები უფრო გამდიდრდნენ ომში, გენერლებმა კი ხალხის ფულით ჯიბები გაიტენეს, ჩინ-მენდლები მიიღეს, სამშობლოში დაბრუნდნენ და ეხლა თავიანთ ძმებსა და მეზობლებს ამშეიდებენ. საცა სიმამაცე და ვაჟკაცობა იყო საჭირო, იქიდან ქუდ გადაგლეჯილი მორბოდნენ და სირბილში ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ; აქ კი უიარალო, მართალ და დამშეულ ხალხზე ვაჟკაცობას იჩენენ და თავიანთივე ძმების დახოცვისთვის საჩუქრებს იღებენ.

ერთი მითხარით, სად არის აქ სამართალი? სად არის პატიოსნება და მამული შვილობა?

სამართალი არ არის და ჩვენც ამას ვჩივით, ჩვენც ამიტომ ვყვირით და ვთხოულობთ სამართალს.

ებლა ვიკითხოთ, მთავრობას რომ ამოდენა ჯარი არ ჰყოლოდა, განა იაპონიას ომს გამოუტადებდა? განა იმოდენა ხალხს დახოცინებდა და დაამშევდა? განა ხალხის სამართლიან მოთხოვნილებაზე უარის თქმას გაბედავდა? განა სოფლებსა და ქალაქებს დასწვავდა, ააოხრებდა, აიკლებდა და ააწიოკებდა? განა ამოდენა ხალხს დახოცავდა და ციხეებში დაალპობდა?

ვერა, ვერ იზამდა ამ საქმეს, რაღაც მარტო ერთი მუქი მთავრობა როგორ მოახერხებდა თავის ხელით მთელ უზარმაზარ რუსეთის აკლებას! მთავრობა მხოლოდ ბრძანებას იძლევა, ჯარი კი ამ ბრძანებას ასრულებს და ათას უსამართლობას სჩადის. ჯარს არ ესმის, რომ ის ისევ თავის ძმებსა და დებს ხვრეტავს, ისევ თავის სახლ-კარს ანგრევს და თავის თავის თვითონ უთხრის სამარეს. ჯარი გაუნათლებელია, უვიცია და მთავრობაც განვებ ცდილობს ჯარი არ განათლდეს, თორემ შეგნე-

ბული ადამიანი როგორ ჩაიდენს იმ სიმხეცეს, რომელიც ჯარმა ჩაიღინა! მთავრობა სარგებლობს ჯარის გაუნათლებლობით და ისე ატ-რიალებს ამ ქვეყანას, როგორც მას უნდა.

მაგრამ სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძრესო. სანამ ჯარი განათლდება, ხალხს თავისი დაქმართება. ამიტომ მუდმივი ჯარი უნდა მოისპოს.

დიალ, მუდმივი ჯარი უკველად უნდა მოისპოს, აუცილებლად უნდა მოისპოს, თორემ სანამ მუდმივი ჯარი არსებობს, მშრომელი ხალხი მუდმივ მონობაში იქმნება და თავს ვერ გაინთავისუფლებს. მუდმივ ჯარის მაგივრად უნდა დაარსდეს მილიცია. ყველა ახალგაზღა ისწავლის იარაღის ხმარებას რამდენიმე თვეში; მერე იარაღს მიიღებს და შინ დაბრუნდება. თუ მართლა მეორე სახელმწიფო გამარჯვება და ამ ხალხის დაპყრობა მოინდომა, ყველა იარაღს აიღებს და თავის თავს დაიცავს. აი ეს არის მილიცია და მისი შემოღება ხალხის ადვილია. მაგრამ მილიციის შემოღება ძალიან ადვილია მაშინ, როცა ხალხი თვითონ იქნება თავის თავის ბატონი და პატრონი. ჯერჯერობით კი, სანამ ხალხი არ განთავისუფლებულა, ჩვენ უნდა მოვითხოვთ სალდათისთვის სამსახურის ვადის შემოკლება; სალდათმა ოთხი და ხუთი წლის მაგივრად უნდა იმსახუროს ერთი ან ორი წელიწადი. ერთ წელწადში ყველა შვენივრად ისწავლის იარაღის ხმარებას.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა მოვითხოვთ, რომ ყველამ თავის სამშობლოში იმსახუროს. ეხლა ქართველები ჩრდილოეთ რუსეთში მიჰყავთ. იქ ისინი ცივ ჰავას ვერ იტანენ და ავად ხდებიან, იხოცებიან. ჩვენ ვითხოვთ, რომ ქართველი საქართველოში დარჩეს, სომხეთი—სომხეთში, თათარი—სათათრეთში და რუსი—რუსეთში.

ჩვენ ვთხოვთ, რომ მოისპოს სალდათების უზომი ტანჯვა, შეურაცყოფა, მისი პიროვნების შელახვა და დამცირება. ამას ვთხოვთ, ეხლავე, დღესვე; ხოლო საზოგადოდ ჩვენ ვთხოვთ, მუდმივ ჯარის მოსპობას და სახალხო მილიციის შემოღებას.

### შადლი.

შიორ ჩიტამის მოკვლა

4 მეტაოვეს, საღამოს 8 საათზე ტფილი-სში კაზაკებმა შეცურად მოჰკლეს სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორი შიორ ჩიტაძე.

იმ საღამოს ვიღამაც ყუმბარა ეროლა და მძიმედ დასჭრა ტფილისის პლიცმენტერი მარტინვი, რომელიც ქართულ გიმნაზიის გვერდით მიღიოდა. კაზაკებმა მაშინვე ალყა შემოარტყეს გიმნაზიას და თოფები დაუშინეს. ამ დროს გიმნაზიაში რამდენიმე მასწავლებელს კრება ჰქონდათ. კაზაკები გიმნაზიაში შევარდენ და მოჰკლეს გიმნაზიის გამგე შიორ ჩიტაძე, დასჭრეს მასწავლებლები იუსტინე აბულაძე და ხარლამპი ღლონტი, ხოლო დანარჩენები დაატუსალეს.

შიორ ჩიტაძე ქართლელი გლეხი იყო. მისი დედმამა ხელმოკლე აღამიანები იყვენ, მაგრამ მაინც მოახერხეს და შიოს სწავლა მიაღებინეს. განსვენებული კარგა ხანს რუსეთში იყო მასწავლებლად, ხოლო შარშანწინ ტფილიში გადმოვიდა და ქართულ გიმნაზიის ინსპექტორობა მიიღო.

განსვენებული ერთი საუკეთესო მოღვაწე და მუშაკი იყო. ისეთი სასარგებლო საქმე არ მოიძებნებოდა, რომ შიოს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო. რევოლუციონისტ მოძრაობაში და ხალხის განთავისუფლების საქმეში მას უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა და სულითა და გულით მიიწვედა თავისუფლებისა და სიმართლისაკენ.

შიორ აგრეთვე მონაწილეობას იღებდა ქართულ და რუსულ მწერლობაში და მუდმივი თანამშრომელი იყო „შრომისა“, „უნობის ფურცლისა“ და „ვოზროვედნისა“.

მისმა სიკვდილმა ქართველი საზოგადოება მწარედ დააღონა და აღაშფოთა იმ საზიზოა მხეცების წინააღმდეგ, რომელთაც ასე უწყალოდ და უდროვოდ გამოასალმეს წუთი სოფელს ძეირფასი ამხანაგი და მებრძოლი.

დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო. გორელებმა, თელაველებმა და ქართლელმა გლეხობამ თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს. მის კუბოს ამშვენებდა ორმოცდა ათამდე გვირგვინი. სასაფლაოზე მრავალი

სიტყვა წარმოითქვა. ყველანი მოუწოდებდენ ხალხს, შევერთდეთ, ხელი ხელს მივცეთ და სამაგირო გადაუხადოთ შიოს მკვლელებსაც.

ზიზღი და შურის ძიება მკვლელებს და საუკუნო ხსოვნა რეაქციის მსხვერპლს, ძვირფასს შიო ჩიტაძეს!

### აშჩანაგი.

## სოცლის ბობოლები.

მამასისლისი და სიუ უფრო დადი მოსელეც, რომ სოფლის მტერ-მოუგარე, ეს კველამ კარგად გაციო. მაგრამ ერთი გვითხით: მამასისლის სოფლში ვის უფრო ემსიროს, ვის უფრო აწესის?

მამასისლისი, რასაკირგელია, უფლებულობის თოვქმის მდიდრების მსარეზეა, ამათ სიმაფენების სცდილობის, იმატომ, რომ თათობისც იმ მდიდრების წრეს ეპულვის. ამათ მსანები და მეგობარია. იქნებო იყითხოთ, რათა ხდება ისე, რომ მდიდრეს იჩემდება მამასისლისად მომეტებულ ნაწილად? აა რად:

კველა სოფლში საქმე ასეა მოწერილი: სოფლს ბატონის და გარის რამდენიმე გლუხი, მაგრამ უბრალო გლეხი კი არა, არამედ შეძლებული, კიდე გასუმებული, დედულ-მამულის მატონი, მეურალი, ფულის სიარებულოთ მიმცირი. ეს შეძლებული გლეხები, ასე, როგორც ჩვენში ეძახიან. — „მატითხანი სილია“ — განაგება მთელ სოფლის სედ-იდასლებს; სითაც უნდათ, სოფლს იქთ უზამენ თავის. თათონ ძალიან ცოტას მუშაბენ, სიმაგიროთ სულ სიხვისა სელით აბოტებენ საქმეს. ისინი სულ მას სცდილობენ, რომ თავის მუშაბის დამკირთ განაცლონ, რაც ძარღვებში სისხლი უდაგათ სულ თავიანთ საქმეში ჩადგრევიანობის. თუ ასე დაწესებული მუშა ხმის ამოდების გაბეჭდვს, ადამიანებად მომყრობის მოსთხოვს ბატონ „მატითხანი გაცე“, მაშინ ეს ვაჭარითი იმას დაუშეტარების, თუ აა ძალა უკირავს სელში. სამუშაო ფასის დარ მისცემს, ან სხვა გრძელებას და დასახლებას. თუ კი სტანციანი და სამომ-ნადვაწე უნიავებენ სისხლის — სოფლის დარიაბის ნაწილს, ეს „მატითხანი“ ბობოლები.

შენენ, შეწესებასაც, შიმშილებაც და სხვა გასა- კისაც. რა ქმას საბრალო დარიაბმა უდიდესობა, თუ შეურაცხეობა არ მთამინის! ხელვე გაუჭირდება, ან ფული დასჭირდება სახესებდად, ან შერი თრითდე კოდი და სხვასთან ვისთან მივა, თუ არა იმავე „მატითხან გაცოან“? ჯერ უწევენი როცა არის, რა სარგებელის არომეცს ხლომე, (თუმანი— თო შეური, სამი აბაზი, შერი — თო თხუთმე— რია) და ნაწევენი რომ იყოს, ხომ ან სულ შენ- დურის ცემით გამოისცემობის, ან კადებ სარგე— ბელის და თავის გაუთხასწორების.

ამიტომაც გაჭირებული გლეხი ბევრის დამ— ცირების თომების სქელ ჯიბის მოძმიას გან. ამას გარდა, თუ ბატია და სოფლის საქმეში იმის წი— ნენადმდება ან იტევის, ან განაპირების რასმე! რა— გორ გაჭირება! გაჭირებას და ვარ იმის დედის დოქორის! ტბილად დაძინების ვერაც ედიანსება. მიადების ფეხზე მუგურად მუგურადს და სულ ასე აწემების: გაუბატის სახივას და ისეც დაცემულს ფასეს, ერ— თანხად დაუნიავების, სულ ნელ-ნელა გააწევების. ამა, რა ქმას, სად წავიდეს, როგორ დაუძვ— რეს კლანებიდნ ამხანის აფთას და სისხლის მსმელის წურილებას?

სარჯის გაწერს შარც ეპრემე. „მატითხანი“ სილი თვითონ მუდა ნაკლებს შეაწერს ხლომე, დარიაბის კი მეტს შეაწერს. მამასისლისი დარიაბის უსტებელად გადახდევინების შეწერილის სარჯის. შეძლებულების კი ზოგს უშედებელობის შეწერილის სარჯის. ზოგს სმირად არც კი მოჰკითხს სარჯის ხლომე წლის ბოლოს შეურანელს ფულის: დააწერენ სოფელს „ნედომებად“. წამოვდენ იგივე „მატითხანი სილი“ და ხელ სდა დარიაბის გაუნაწილებენ გა— დასახლებად. ასე სტანციანი და სამომ-ნადვაწე უნიავებენ სისხლის — სოფლის დარიაბის ნა— წილს, ეს „მატითხანი“ ბობოლები.

მანდგრის გათავის განდა, კარგის და რიგო— ნ ბალას ბობოლები გასთაბავები; ვენასის მორწ— ევის დროს თუ უკედაბედ ადრე იმათ არ ერგოთ ჯერი, მოკლი სოფელი ერთმანეთის ესლების იმა— თ უკირალის და დრიალის გინ.

სოფლის კორდონის სეჭმე ასე უნდა გა— დაწევებს, როგორც ბობოლების ჭირავთ. დანარ— ჩენების რომ ბევრიც იუგარონ, თავი გაისურქონ, გერას გაწევებენ. სმირად მინახავს, რომ ერთ მევირად ბობოლების უკუდმართ სატევს გაუმარჯვ— ნაა, თუმცა სარჯის წინადმდებარ ეოფადა, რათა როგორ სელის ეს მისვა?

ასე ხდება, რომ ბატონი მამასახლისი ამ ბათოლის მთმხრება. ბობოლის ინტერესი და მამასახლისის ერთმანეთს ეთანხმებან, ამიტომაც ერთმანეთს შესას უჭერენ.

ესდა, მე მგრინა, თქვენ დაინახეთ, თუ რა ხალდის სთვლის ბობოლები, ან ვის კისერზედ სხედის და ვისი ფფლითაც აგმებებიან.

აა, ამ ბობოლების უნდა ფრთება შექრის, ისინა უნდა სამართლიანობის გზის დადგენ. თუ არა და დანართულების, მათგან შეწუხებულების ერთად ერთი გზა და დანართიათ: უნდა შეერთდენ, ხელი ხელს მისცენ, ერთი შირი შექრის და კრიჭაშა ჩაუდგენ. სთვლის ბობოლების. ღარიბი და დანართული გლეხი გაცილებით უფრო მეტა სთვლად, ვადრე ბობოლი. მაშესდამე, დანართულების რომ შეერთდენ, შეკავშირდენ და ერთი შირი დაიჭირონ ერთობაზედ, სთველში, მართონში თუ საცა იქმნება, უმჭველად ისინი ჯალებენ თავაგასულების.

მაში ისებ და ისებ შეერთება! ერთობის ძალა და მნიშვნელობა შეაგენით, დარიბო, დანართული გლეხებთ! შეიგენთ, რომ თუ ეკვლები ერთად იმოქმედებოთ, თქვენს გაჭირების შეამსებულებოთ. ესდა ცალპულებე რომ ხართ, ბობოლებიც და სხვანიც იმიტომა გრაგრავენ.

შოთახევთ უფლებობის, უმჭველის და შემდეგ თქვენი ისეთივე პატივისცემა, როგორიც შეჭირის ადამიანს. ნუ დანართიანებით ტეუალუბრადთ ხურავის და ნუ მოუთმექო უბრადთ შეურაცხელებაც, თორებ თუ ერთხელ შეგავდა ვინებ ზერგზედ, მერე გაგასტონდება და ბატონის კა, ხომ იცით, ძალას ტებილია. მაში, ბობოლების კრიჭაშა ჩაუდექით, მამასახლისსაც და სხვა ამნარის თქვენს შემაწუხებულებისაც; მასთხოვეთ ადამიანური საქციელი და სამართლიანი მოქმედება.

### გლეხი შვილი.

## ჩვენებური პატივი

**ქიზიყი** (საკუთარ კორესპონდენტისაგან) თამამად უეგვიძლიან ვთქვათ, რომ ქ. ტფილისილან დაწყებული ქ. სიღნაღამდე, ფოსტის გზით, საუკეთესო მამულები ეკუთვნის ხაზინასა და თავადიშვილებს. შიგა და შიგ ბი-

უროკრატიულ მთავრობას გადმოუსახლებია ნემენცები, რუსები და გადაუცი მათოვის საცხოვრებლად საუკეთესო სახაზინო მამულები. ჩვენი სოფლის გლეხობა კი დაუტოვებია უმა მულოდ გულ-ხელ დაკრეფილი დ სხვის თვალში მაცერალი. ეს არის მიზეზი, რომ გლეხი იძულებული ხდება, სხვის მამულზე იშრომოს და თავის შრომის მეოთხედი მიართვას მამულის პატრონს.

ასეთ უნცველ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი შემდეგი სოფლები: ჩაილური, კაკაბეთი, ყანდაური, შიბლიანი, ჯიმითი, ქლალი, არაშენი, მელაანი დ ჩალაუბანი. ამ სოფლების გლეხები იხდიდენ აქნობამდე მემამულეთა სასარგებლოდ მეოთხედს, მაგრამ შარშან, როდესაც ჩვენ მხარესაც დაპერა თავისუფლების სიომ, ჩვენმა გლეხებაც მამოილვიდა სალათას ძილისგან და მხნედ და თამამად მისცა ბანი თავისუფლებისა და ერთობის სიმღერას.

ამ ერთობის შედეგი იყო, რომ ზემოხსენებულმა სოფლელებმა მთლად გადახნეს თავადიშვილების მამულები იმ პირობით კი, რომ ერთი მეოთხედის ნაცვლად მამულის პატრონისთვის მიეცათ ერთი მეშვიდედი. ამ პირობაზედ იმ დროს მემამულეები დასთანხმდენ, მაგრამ, აი, მთაბლოვდა მკის დრო და რეაქციის გაძლიერებით გათამამებული მემამულები იარა კმარობენ ერთ მეშვიდედს და კვლავინდებურად თხოულობენ ერთ მეოთხედს.

ზემოხსენებულმა სოფლელებმა პირობისამებრ ჯერ შეაძლიეს მემამულეებს ერთი მეშვიდედი, მაგრამ როცა დარწმუნდენ, რომ ისინი ჯერაც არ მორჯულებულან და ისევ აშლიათ სალერლელი ხალხს ყვლეფისა და ბატონობისა, მოილაპარაკეს და მთელი თავიანთი ნახნავ-ნაშრომის მოსავალი დაუდეს ურმებზე, მიტანეს ყველამ თავთავის სოფლებში და უარი უთხრეს ერთ მეშვიდედზედაც.

მემამულეები გაბრაზდენ, მივიდენ მაზრის უფროსთან საჩივლელად და სთხოვეს ზემოხსენებულ სოფლებში ეპენეუციის ჩაყენება. მაზრის უფროსიც დაპირდა და უნდა ყოველ სოფელში ჩაყენოს ყაზახები.

ზოგიერთი მამულები, საღაც სოფლელებს წინაღვე ჰქონდათ ნახნავები, თავადიშვილებმა

სხვებს გადასცეს იჯარით. მოიჯარადრენი დიდ მონაწილეობას იღებენ იმაში, რომ სოფლებში უსათუოთ ჩააყენონ ეკუთხუცია და კაზაკების დახმარებით ერთი მეოთხედით გაიცსონ ისე-დაც ხალხის ოფლით გისუქებული ღიპი.

— მე კი ჩემი მეოთხედი ავილო და თუნდ ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩებაო, — ამბობენ დღე-ვანდელი მემამულები და მოიჯარადრები.

#### თოშა მალაროლელი.

**დ. ლაგოდეხი.** 18 ივნისს ლაგოდეხში იყო ტჟ. გუბერნატორი. ლაგოდეხის მისავალთან, სადაც ახლა მოშენდა სოფელი „შრომა“, მას დაპირებული შრომელები თავიანთ ცოლშვილით და წარუდგინეს ქალალდი, რომლითაც აუწყეს შეძეგი: ჩენ აქ ლაგოდეხში ვცხოვრობთ ორმოცდაათ წლამდის. ჩენ პირველათ დავიწყეთ თამბაქოს მოყვანა, რომელიც ხაზინას დიდ შემოსავალს აძლევს. მაგრამ, საუბედუროდ, ჩენ დღემდის ერთი დესეტინა მიწაც კი არ მოვვე-პოვება და იძულებული ვართ დღიდ ფასად ვიქირაოთ მიწები და ისე ვიმუშაოთ. ამისათვის, ჩენი სამაგალითო მხნეობა-გარჯილობის მიუხედავად, სილატაკეს ვერ დავახტივეთ თავი. ამ ოცდა ათის წლის წინად ლაგოდეხელმა მუშა ხალხმა ვითხოვეთ მიწები: რუსებმაც, ქართველებმაც და სომხებმაც, მაგრამ რუსებს, ეხლანდელ ლაგოდეხის „პოსელენცებს“, მისცეს მიწები, ჩენ-კი, „ტუზემცებს“, არ მოვცეს. ამ უკანმსკნელ ხუთ წლის ბევრჯერ მივმართეთ მთავრობას მიწებისთვის, მაგრამ მხოლოდ გვპირდებოდენ და ჩენს გაჭირვებას კი ბოლო არ ეღებოდა. ამ უკანასკნელს ორ წელს რამდენიმე პარტია გადმოსახლებულ რუსებისა კიდევ მოიყვანეს და დაასახლეს. შარშანორი კაცი გავგზავნეთ ნამესტნიკთან, რომელიც დაგვპირდა, ყველაფრით დაგაკმაყოფილებთო. აგრეთვე დაგვპირდა სახელმწიფო ქონებათა მმართველი ზელენინი. ამ ამბით გახარებულნი შევუდეჭით სოფლის მოშენებას იმ ადგილზე, რომელიც 1902 წლიდან გვქონდა დაპირებული. გავჩერეთ უვარგისი შეშის ტყე, ავავსეთ ხევები, გაგიყვანეთ გზები და ეხლა ჯერჯერობით ოთხმოც კომლამდის (ას-ოც კომლიდან) დაესახლდით. მაგრამ ჯერ ეს ალაგი არ დაუმტკიცებით ოფიციალურად ჩვენზე. გარდა ამისა, ჯერ სახნავი მიწა არა მოუციათ რა.

ამნაირად, იმ დროს, როდესაც ჩვენს მიმსახურებულ გადმოსახლებულ რუსებს კომლზე ოცდა ერთი დესეტინა აქვთ, ხოლო ახალ მოსულ რუსებს თვითო მამაკაცზე ხუთი დესეტინა, ჩვენ არა გვაძალია რა და იძულებულნი ვართ მათვან ვიქირაოთ დესეტინა ორ-სამ თუმნად, ვიქირაოთ ის მიწები, რომელიც ჩვენივე გატეხოლია და უღერ ტყებისაგან სახნავად ნაქცევით. ქართველებმა ისიც დაუმატეს, რომ ჩვენ არა გვშურს რუსებისათვის მიწა, მაგრამ უსამართლობაა, როცა იმათ აძლევთ და ჩვენ კი ასე გვტოვებოთ. გუბერნატორი დაპირდა დახმარებას, მაგრამ ასრულებს თუ არა დანაპირს, ალაპმა უწყის. („შრ“.)

#### შიო ჩიტაძის გარდაცვალების გამო

მეტების ციხიდან ტუსალები იწერებიან: „ჩვენ, მეტების ციხის ტუსალები, გულით და სულით აღშფოთებულნი ვართ იმ საზიზლარი მტარვალობით, რომლის მსხვერპლი გახდა ყოვლად უდანაშაულო და პაციოსანი საზოგადოებრივი მუშაკი და პედაგოგი შაო ჩიტაძე. გულითად მწუხარებას ვაცხადებთ და უკანასკნელ სალამს უძღვნით ჩვენი ბნელი, ნესტიანი და აშმორებული საკნებიდან თვითნენობობისა და ავაზაკობის მსხვერპლს შიო ჩიტაძეს. გულითად თანავრძნობას უცხადებთ განსვენებულის ცოლშვილს და დაობლებულ მის ამხანაგებს და მოუწოდებთ მათ: ფიცი დასიონ განსვენებულის საფლავზე, რომ გაორკეცებული ენერგიით, უფრო მედგრათ იბრძოლონ გამეფებულ თვითნებობისა, ძალმომრეობისა და ავაზაკობის დასაშხობათ და ბრწყინვალე მომავლის გასამარჯვებლათ, რისთვისაც ასე მხნეთ და დაუდალვათ იბრძოდა განსვენებული შიო. მათ კი, ვისი ავაზაკობის მსხვერპლიც შეიქმნა განსვენებული შიო, უცხადებთ ჩვენს ზიზლა და აღშფოთებას. ამისთანავე ღრმად ვწუხვართ, რომ იმავ თვითნებობისა და ავაზაკობის მიზეზით ჩვენ, უდანაშაულოთ დამწყვდეულთ მეტების ციხეში, არ შევიძლია დავესწროთ შიოს ცხედარის გამოსვენებას და დაკრძალვას და მით უკანასკნელი პატავი ვცეთ ჩვენთვის ძვირფას და დაუვიწყარ შიოს.

ამხანაგების მონღობილებით: ოფიციანე ჭურნია, კოლენე ჩემსამე და აქცენტი კორიფაზე.

**სახ. სათათბიროში გაგზავნილი დეპეშები**  
თავმჯდომარეს მურომცეს, დეპუტატებს ბარათაშვილს და  
ქორდანის.

ჩვენ ტფილისელი ქალები, ეროვნების განუ-  
რჩევლად, მწარე ცრემლს ვაფრქვევთ მხეცუ-  
რად მოკლულ საუკეთესო აღამიანის და საზო-  
გადო მოღვაწის შიო ჩიტაძის ვგამზე და ვაცხა-  
დებთ ჩვენ ღრმა ზინზს უდანაშაულო აღამია-  
ნის მოკვლისა და გიმნაზიის მასწავლებელთა  
დაჭრის გამო, იმ მასწავლებელთა, რომელნიც  
შეიკრიბენ მშვიდობიან საქმისთვის — თავი-  
ანთ საჭიროებათა განსახილველად. მოყითხოვთ  
დაუყოვნებლად სასტიკ გამოძიებას, მკვლელ-  
თა და ამწიოკებელთა აღმოჩენას და სამართალ-  
ში მიცემას. ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ  
სახელმწიფო სათათბიროს ჩვენის შვილების,  
ძმების, მამების და დედების დაცვა ისეთ ბოროტ-  
მოქმედებისაგან, რომელსაც სჩადიან შურის  
მძიებელ და გაბოროტებულ მთავრობის აგებ-  
ტები, იმ მთავრობისა, რომელიც მზად არის  
თავისუფლების დასახშობად მთელი ქვეყანა  
სისხლით მორწყოს.

### ზელს აწერს 563 ქალი

დეპუტატს ბარათაშვილს და გაზ.

„მიხლ“-ის რედაქციის.

მოვალეობად ვრაცხთ შეგატყობინოთ უდა-  
ნაშაულო პირთა ავაზაკური მოკვლა და დაჭ-  
რა. 4 ივლისს ვიღიაცები მორგებულის გასა-  
ლებით შევიდენ სათავადა-აზნაურო გიმნიზიის  
ერთ ცარიელ დარბაზში და იქიდან ყუმბარა  
ესროლეს ქუჩაზე მიმავალ პოლიცეისტერს.  
იმავ წუთს გიმნიზიას გარს შემოერტყენ ყაზა-  
ხები, სტრაჟნიკები და პოლიცია; ჯერ ფანჯ-  
რებსა და კედლებს დაუშინეს თოფები და მერე  
შენობაში შეცვიდდენ. იქ ამ დროს იწყებოდა  
მასწავლებელთა თათბირი. ყაზახებმა და სტრაჟ-  
ნიკებმა თოფით მოჰკლეს გიმნიზიის დირექტო-  
რი ჩიტაძე მის ბინაზე და შემდევ მძიმედ დასჭ-  
რეს ხ. ღლონტი, იუსტინე აბულაძე და ჩიტა-  
ძის ნათესავი მესხიშვილი. მძიმედ დაჭრილი  
ღლონტი ამასთანავე ძლიერ ნაცემია, დანარ-  
ჩენი მასწავლებლები რაღაც სასწაულით გადარ-  
ჩენ. გიმნიზიის მთელი შენობა, ოთახები და  
მოწყობილობა საშინალოდ აკლებულია. სტოლე-  
ბი, სკამები, შკაფები დამტკრეული, წიგნები  
დახეული, სხვა და სხვა კოლლექციები განად-

გურებული. აკლებულია აგრეთვე უფლებული  
კაბინეტი, სადაც თითქმის ყველა ინსტრუმენ-  
ტი და იარაღი დამტკრეულია. მოკლულ დირექ-  
ტორისა, ეკონომისა და სხვა საცხოვრებელ  
ბინებიდან ყველაფერი წაღებულია ან აოხრე-  
ბული. მოკლულ ჩიტაძისთვის წაურთმევიათ  
ოქროს სათი, ბეჭედი და ფული. აწილკების  
სურათი აუწერებელია. ბარბაროსულიად მოკ-  
ლულ ჩიტაძესა და მის დაჭრილ ამხანაგთ საერ-  
თო არაფერი აქვთ ყუმბარის გიღასროლისთან ;  
ამის ჩამდენი მიმაღენ, მიუხედავად ამისა  
დაჭრილი ღლონტი ახლაც დაბატიმრებულია  
კომენდატის სამართველოში, სხვა დაჭრილები  
სამხედრო საავადმყოფოში არიან და მათთან  
არავის უშვებენ. პოლიციას განზრახვა აქვს  
დაზარალებულო მოახვიოს თავზე ყოველივე.  
მთელი საზოგადოება აღელვებულია, თხოუ-  
ლობს მიუდგომელს გამოძიებასა და დამნაშვე-  
თა პასუხის გებაში მიცემას. გააცანით საოთ-  
ბიროს ეს აღმაშფოთებელი ავაზაკობა. დედა,  
ცოლი და შვილები გაგიუებული არიან უზო-  
მო სიმწარისაგან. ჩვენც მისი ამხანაგები, ღრმად  
ვწუხვართ ქართველ საზოგადოების სასარგებ-  
ლო წევრის და ჩვენის გაზეთის ნიჭიერ თანამ-  
შრომლის დაკარგვას.

### «შრომის რედაქცია».

დეპეშა გაუგზავნა მურომცეს და ბარა-  
თაშვილს აგრეთვე ქართულ გიმნაზიის გამგე  
კომიტეტში.

### გენ. ალიხანოვის ანდერძი

გენ. ალიხანოვმა ჩვენში დიდი „სახელი“  
გაითქვა. იშვიათათ თუ იმას ყოველ დღე არ  
ახსენებდენ არა თუ ჩვენში, არამედ თვალ-  
უწვდენელ რსევთის სხვა-და-სპავა კუთხებშიაც  
კი. იმის „სახელი“ ჯერ კიდევ დიდხანს დარ-  
ჩება. მან ააოხრა და გაანადგურა მთელი გუ-  
ბერნია, მან იკლო და ცეცხლსა და მახვილს  
მისუა მილიონ ხალხის სარჩო-საბადებელი და  
სიცოცხლე, მთელ გუბერნიაში მას ერთი კუ-  
და ადგილიც არ დარჩენია, სადაც არ იეტი-  
რებიოს და არ შეეძრწუნებიოს საბრალო  
მცხოვრებლები. მაგრამ მე ვცდები: მას დარ-  
ჩია ერთი ასეთი ადგილი. ეს არის სვანეთი.  
ალიხანოვი ზამთარში „მოვაწეობდა“ და ამ  
ღროს სვანეთში გადასვლა და ჯარების გადა-  
ყვანა შეუძლებელი იყო, მაგრამ იმას არ და-

უვიწყია სვანეთი. თუმც მას აღარ დააცალეს ქუთაისის გუბერნიაში ყოფნა, მაგრამ სამაგიეროთ თავის მექვიდრეს დაუტოვა თავისი ან-ფერძი: სვანეთსაც ის დღე დააყენე, რაც გუბერნიის სხვა კუთხეებს მე დავმართო. და აი დღეს, როცა სვანეთში სრული სიწყნარეა და ხალხი დამშვიდებულია, გენ. იაზიკოვს იქ დიდ-ძალი ჯარი გაუგზავნია კაზაკებით და სამთო ზარბაზნებით. რა უნდა ჰქონდეს მიზნათ ასეთ კალაშნერებას? ვინც მთავრობის პოლიტიკას იცნობს, იმისთვის ეს აღვილი გამოსაცნობია: იაზიკოვი სვანეთს აკლების და ოხრებას უპირობს. („ახ. ცხ.“).

**ქუთაისის ციხე.** ქუთაისის ციხეში ტუსალებს შემშილობა გამოუცხადებიათ. მიზეზი ის ყოფილა, რომ ტუსალი ბენია ჩხიკვიშვილი 4 ივლისს ციხიდან სამხედრო ჰაუპტვახტში გადაუყვანიათ, რადგან ციხეში ტუსალების შორის პროპაგანდის გაწევა დაუბრალებიათ. ტუსალებს მოუთხოვიათ ჩხიკვიშვილის უკან დაბრუნება.

**მკელელობა.** 4 ივლისს ჭიათურის რკინის გზის შტოზე, სალიეთის სადგურზე, ვიღაც უცნობს რევოლვერის ხუთი ტყვიით მოუკლავს შორაპნის დეპოს მემანქანე ტერ-არუთინოვი, რომელიც საქონლის მატარებლით ჭიათურისკენ მიდიოდა თურმე. უცნობი მიმალულა. ტერ-არუთინოვის გვამი შორაპნში გამოუგზავნიათ, მაგრამ მას არც ერთი მოსმახურე არ დახვედრია. ტერ-არუთინოვი წინათ „რევოლიუციონერი“ ყოფილა, ხოლო ამ უკანასკნელ დროში ძალიან გამოცვლილა.

### გადასახადები

თფილისის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრებიდან მრავალი შუამდგომლობა მოსდის თურმე კავკასიის უმაღლეს მთავრობას სახელმწიფო, საერობო და სხვა საზოგადო გარდასახადების საქმეების მოწესრიგების შესახებ. გლეხები სთხოვენ მთავრობას, ან სრულიად ეპატიოთ მათზე დარჩენილი ქველი „ნედომკები“, ან კიდევ სხვა უფრო ხელსაყრელ დროისთვის გადასდოს მათი გადახდა. გლეხები იმასაც კი აცხადებენ, რომ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ქონებრივად ძალზე დასუსტებული ვართ და ამისთან არეულ

დროში არავითარი სახსარი არ გვთქვას შეველი გადასახადები შემოვიტანოთო. ამ უამად მთავრობა ადგენს სიებს იმ სოფლებისას, რომლებიც ძალიან დაზარალებულან და უნდა თურმე მათ ცოტა შეღავათ მისცეს გადასახადების დაკლებაში.

### გლეხები სახაზინო მიწებს თხოულობენ

ბორჩალოს მაზრის სოფლებს: ვარტაბლურის, ლიოკადზორის, კამიშლოს, ბაშკოის და ოზის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რომ სახელმწიფო სახნავსათვესი და საბალახო აღვილები მიეცეთ იჯარით. მაგრამ მთავრობას უარი უთქვამს მათთვის მიწების მიცემაზე.

### გლეხები სესხს თხოულობენ

თელავის მაზრის, სოფელ შაშიანის გლეხები ძალზე დაზარალებულან სეტყვით. მათი საუკეთესო ბალები და ნათესები სეტყვას ერთიანად გაუნადგურებია. ეხლა ხან მათ შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ სესხათ მიეცეთ ხაზინიდგან ოთხი ათასი მანეთი რამდენიმე წლის ვადით.

### მოხისელების თხოვნა

ამას წინად ვორის მაზრის, სოფელ მოხისის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რომ სოფლების მოხილეების და სასოფლო კანცელარიების შესახები ხარჯების მოურება სხვა დროისთვის გადაიდოს, რადგან სახელმწიფო და საერობო გადასახადების გადახდაც ძალზე გვიჭირსო.

### ახლი „რეფორმა“

ამ ერთი წლის წინად გუბერნატორის განკარგულებით დუშეთის მაზრის სოფლები და ყოფილ იქმნა წვრილ საზოფადოებათ და იხალი სამამასახლისო დაარსდა თითქმის თვითულ სოფელში, ან კიდევ ორი-სამი პატარა სოფელი ცალკე საზოგადოებად გამოჰყებს. ეხლა იქაურ უფროსს მავნებლად უცვნის გლეხებისთვის ახალ სამამასახლისოებების დაწესება და შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ისევ ქველი წესი იქნეს შემოღებული და უწინდებულად რამდენიმე სოფლიდებან ერთი სამამასახლისო შესდგესო. ასეთ შუამდგომლობას ეხლანდელი უფროსი იმით ასაბუთებს, რომ

გლეხებს აღარ შეუძლიათ ამდენი სასოფლო კანცელარიების და სოფლების მოხელეების შენახვაო. უმაღლეს მთავრობას თურმე განზრახვა აქც ისევ ძველი წესები შემოიღოს დუ-შეთის მაზრის სოფლებში.

## ჩ უ ს ე მ ი ს

გლეხების მოძრობა.

ნოვგოროდის გუბერნიაში, ჩერეპოვეცის მაზრაში აგრარული მოძრაობა დაწყო. 21 ივნისს შეკრებილან გლეხები და მემამულების სათიბები დაუსაკრთხებიათ და დაუყვიათ. მათ ურიადნიკისა და სტრაუნიკების გაფრთხილებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და 80 დესტინა მოუთიბავთ. როცა ვერაფერს გახდა ურიადნიკი, ძალას მიმართა. უიარალო გლეხებს დაერივენ სტრაუნიკები და ჩეხა დაუწყეს.

სარატოვის გუბერნიაში გაფიცვები თან და-თან ვრცელდება. სოფლის საზოგადოებები განა-ჩენს ადგენენ, რომლითაც გლეხებს ნებას არ აძლევენ მემამულებთან იმუშაონ.

ნიკოლაევის მაზრაში გლეხები უარს ამბობენ გადასახადის გადახდაზე. 21 ივნისს ურჩ სოფელში მოსულა ბლალობინი, შეუკრებია გლეხები და უთქვამს : ნუ ჯიუტობთ, თორემ უარესი დღე დაგადგებათ, ყაზახებს მოგისვენ და აგიკლებენო. — „შენ ის გვითხარი, მღვდელო, როგორ გავაჩინოთ ფული ; ისედაც შიმშილით ვიხოცებით და გადასახადი საიდან გადინებოთ“, უთქვამთ გლეხებს და ხუცესი ხელცარელი დაბრუნებულა სახლში.

ალავ-ალავ აგრარული მოძრაობა ნელნელა სცხრება. მაგალითად, ბალტის მხარეში ეხლა გაცხარებული მუშაობაა და გლეხობა მშვიდებება. ბალტის გენერალ-გუბერნატორი იუწყება, რომ ეს სიჩუმე შხოლოდ დროებითა, რაღაც გლეხობისთვის საჭიროა მუშაობის დასრულება. მერე კი, ეჭვი არ არის, მოძრაობა ხელ-ახლად დაიწყებაო. გენერალ-გუბერნატორის სიტყვით, ლატიშები უკანასკნელ წლების რევოლუციონურ მოძრაობაში ძლიერ ვამოიცადნენო.

რუსეთშიაც დამსჯელ რაზმების გავლენით ზოგან დროებით მიჩუმდებიან ხოლმე გლეხე-

ბი, მაგრამ მერე ისევ ხელ-ახლად გუბერნიაში მოძრაობას. მემამულებს იქამდე გუბერნატორი საქმე, რომ მამულებს უპატრონოდ სტოვებენ და გარბიან.

ყაზანის გუბერნიაშა გლეხებს საბატონო ტყეების გაჩეხისა და საბალახოების გათიბები გარდა საუფლისტულო მამულებისათვისაც მიუყვიათ ხელი.

სიმფეროპოლში მემამულენი ძალზე შეშინებულნი არიან იმით, რომ გლეხებს მიაქვთ მთელი მოსავალი და მხოლოდ მეათედს აძლევენ მემამულებს.

ვილნის გუბერნიაშა ნარიშკინის მამულში მოურავი მოუკლავთ. უფროსი მოურავი დარაჯებით დადის.

სუჯის მაზრაში გლეხებისათვის ძლიერ უცემნიათ დრაგუნებს.

გლეხებმა მიტინგები გაახშირეს. თითქმის ყველგან იმართება ეხლა მიტინგები.

ბობროვის მაზრაში დიდი მოძრაობაა. გლეხებმა გადასწვეს დიდი მამული და სამეურნეო იარაღი. ქმნება გაიტაცეს.

ორიოლის გუბერნიაში მემამულის კანტორა აიკლეს და დახიეს წიგნები.

ჩერკასის მახლობლად, ს. კამენკაში გლეხებს შეტაკება მოუხდათ ჯართან. დაჭრილია 5 სალდათი და 16 გლეხი.

ყველაზე ძლიერი და შეგნებული მოძრაობა ხომ სარატოვის გუბერნიაშია, მაგრამ სარატოვის გუბერნიის არც რიაზანისა ჩამორჩა. იქ გლეხებმა მუშაობას ხელი არ მიჰყვეს, ვიდრე ახალ პირობით არ შეეკვრნენ მემამულებს. მაგრამ, ეტყობა, ამანაც ვერ მოარიგა გლეხები და მემამულენი. შედეგ მოძრაობა გაფიცვებით გამოიხატა. გლეხები ყრილობებზედ იკრიბებოდენ, ადგენდენ მოთხოვნებს და მემამულეებთან მიღიოდენ. მუშების მოხსნა იშვიათად უხდებოდათ, იქ არინ განუწყვეტლივ პოლიციის მოხელენი და ეძებენ მოთავეებს, მაგრამ ესენიც ვერას გახდენ და მათ დასახმარებლად გამოპერანების ყაზახები, ბოქაულები და მერე თვით გუბერნატორიც მივიდა. ბევრია დაპატიმრებული. სადაც ჯარი აჯანყდა, მთავრობამ, რასაკვირველია, თათისებური ზომები იხმარა და მოძრაობაც მიყუჩდა. ეხლა მთავრობას უნდა ამ მიყუჩებით ი! არვე-

ბლოს და გარევოლიუციონერებული ჯარი ხელის „გააპატრიოტოს“. ამისათვის პროპაგანდას შეუდგენ და „რუს ხალხთა კავშირის“ ქაღალდებს არიგებენ.

### მოძრაობა ჯარში

— 30 ივნისს ლიუბეცი პოლკის 39 სა-  
პიორი და ტუვეცეს. საპიორებმა მოითხოვეს  
ამხანაგების განთავისუფლება; წაქციეს აფი-  
ცერი და იარალი აჟყარეს. გამოიწვიეს ქვეითა  
ჯარის კაცების რაზმი და 45 კაცი კიდევ დაატ-  
ყვეცეს. ჯარი ძალიან აღელობულია.

— 30 ივნისს ქ. კრონშტადში ცველა მატ-  
რისებს ერთხმად უარი უთქვამთ ამას წინად  
მოკლულ ადმირალ ჩუხნინის პანაშვიდზე და-  
წრებაზე.

— ტალღა ჯარის მოძრაობისა არა ჩერდე-  
ბა. როგორც „დვ. ვ. “-ს ატყობინებენ, 28 ივნისს „პანტელეიმონისა“ და „ჩესმის“ გემებ-  
ზე ზღვაში კერჩის მახლობლად დიდი არეუ-  
ლობა მოხდა.

— მოძრაობის ტალღა ასხაბაღსაც მოჰვე-  
და. იქ ერთი პოლკი აღელდა. სალდათებმა მოისურვეს აფიცრების დახთხოვა და ახალ უფროსების არჩევა. ამ მოძრაობაში რკინის გზის მუშებიც ააღელვა და ადმინისტრაციამ სანდო  
ბატალიონი გაიყვანა მეამბოხეთა წინააღმდეგ. მაგრამ ამითაც არა გამოვიდა რა. სალდათები მხოლოდ 18 ივნისს დამშვიდნენ.

— ტამბოვში არეულობა ასე დაწყებულია:  
3 სალდათი დააპატიმრეს რაღაცა საქმის გამო,  
მაგრამ, როდესაც აფიცერმა თავის სალდათე-  
ბითურთ ამათი წაყვანა დააპირა, სალდათებმა  
უარი განაცხადეს. აფიცერი იძულებული იყო  
თვითონ წასულიყო სხვა სალდათების მოსაყვა-  
ნად, რადგან არავინ არ გაეყზენა. მობრუნ-  
და თუ არა აფიცერი, სალდათები და დაპატიმ-  
რებულნი დაიშალნენ, დაბრუნდნენ ყაზარმებ-  
ში და კრება გამართეს. იქ მივიდა მესამე  
დივიზიონიც, რომელსაც გაევო ამხანაგების  
დაჭერის ამბავი. ნახევარ საათის შემდეგ მივიდ-  
ნენ ყაზახები და ნეენის პოლკი. როდესაც  
უფროსებმა სროლა უბრძანეს, ნეენის პოლკმა  
იერიში მიიტანა მეამბოხებეზე. ყაზახები-კი ადგი-  
ლიდან არ დაიძრნენ. ნეენინელები გაიკ-  
ნენ. როდესაც აფიცერმა მეორედ უბრძანა სრო-  
ლა, სალდათებმა ჰაერში გისროლეს. მათი

უფროსი გულ-განგმირული იქვე დაეჭირა სრო-  
ლის დროს ყაზახები თხრილში იყვნენ ჩასაფრე-  
ბულნი და თოფს ისროლნენ. არავინ არ იცის,  
ვის ესროლნენ ყაზახები. ახლად მისულმა სუ-  
მის პოლკმა „დაამშვიდა“ მეამბოხენი.

### ქრისტე ამ ქვეენად

(ფანცაზია ფანისა)

ერთხელ პოლკების გუბერნაციონში სოჭა: ქრისტე რომ  
ხელმეორედ ჩამოვიდეს ამ ქვეენაზე, შეიძლება შე თვითონ  
დავატუსაღოო.

... და ჩამოგიდა ქრისტე დედაშიწაზე და და-  
ნისა ადმისავდეთ ცეცხლის აღი. სოჭების ცე-  
ცხლი ეპიდა. ხის სახლები მაშეადებისავთ მრა-  
დებდენ. მოგდე ტანასემთხში გამოწეობად და  
იარად სახმელი გაცემი მუგუზდების აქეთ-იქთ  
ფანტაზდენ, სოჭე გადარჩნია სახლების ზეთს  
სახამდენ და ცეცხლს უპარებდენ.

ნახევარ გერსის სიშროეზე დედაშაცები და ბავ-  
შები თავდაზე ისხდენ და ცეცხლ წაკადებულ  
სოჭების უურებდენ. ტანები ცეცხის ტესას ნა-  
ფლეობი ეცვათ, ფეხები ჩერებით ჭქონდათ შე-  
ხევებდა. შევხები შიმშილისგან და სიცივისგან  
წენასად ტარდენ, დედაშაცები კი ჩუმად ივეენ.  
მამაკაცები-რამდენიმე მოხუცის გარდა-არსედ ჩნ-  
დენ.

ქრისტე სალდო მავიდა და ჭირთხა:

— ეს თქენი სოჭები იწვის?

— წინად ჩვენი იუთ, ქხლა კი ეშმაკისაა. — მაუ-  
გო დედაშაცების.

— სად რაინ თქვენი ქმრები? — ჭირთხა ქრი-  
სტემ.

— დახოცეს! — მიუგო ერთმა დედაშაცები და მწ-  
ერ ჭირთხა დამუშავდა.

— გაიქცე! — უთხრა მეორემ.

ერთი მუქი მამაკაცებში ქრისტემ დაინასა თრთ  
გაცემ, რომელთაც ისეთივე ტანასემთხი ეცვათ,  
როგორიც იმათ, რომელიც სოჭების სწავლები. ერთს  
ფეხი არ ჭქონდა, მეორეს კი სელის მაგა-  
ვრად ცარება სახელი ეპიდა.

— სად დაგაჭრეს სელ-ფეხი? — ჭირთხა ქრისტემ.  
ოშმა. — მიუგეს დაჭრილებმა.

— გისთან? აგერ იმათთან სოჭმ არა, რომელ  
ნაც თქვენ სახლებს სწავლები?

— არა. ეგენი ჩვენი ძმები არასან. წინად ჩვენ-  
თან ერთად იძრდოდენ.

ქრისტე შეკრთა და სოქმა: — რათ გულევიან ეგრე? რა დაშვეული? იქნება მათზე ძაღლი ისმარეთ! ეგრე არ შეიძლება. თქვენ უნდა დაგეხმოქნათ მათ წინაშე და სვეტნით მოგრძილოთ მათი გული.

— ჩვენ ვტირთდით და ვემუდარებოდით. — მაუგრ ერთმა დედავაცმის. — ისინი კი მაინც მათ-კებელით გმირდები.

— მე წავალ და შევეხემწები. — სოქმა ქრისტემ, მაგრამ სწორედ ამ დროს შეიარაღებული მსედრები წაადგენ თაგზე.

— დაიხოქეთ! — დაიყვარა ბეჭდმა და ბრძოლი ბდებილით მუხლის თავებზე დაეცა.

— თქვენ კი, შარუტევები! — დაიწუთ ბეჭდმა. — უფროსი ბეჭდით თხოულობის, რომ თქვენ წინაშედობები გასცეთ, თორუმ ეხლოვე მვედის და გხერტები!

მსედრების თხეთმეტი კაცი გამრარჩეს და მათრახების ცემით თავიანთ ბანაგისკენ გარებეს, ქრისტეც მათ შორის მოჰყვა.

მსედრები უკან მისდევდენ პატირების და მათ-კებების სცემდენ. და ქრისტეც მათ შორის იყო.

მსედრები მათ ტანისამოსი შემოსიერების, თვეუ-ზე დაწვინეს და ცემა დაუწეუს. და ქრისტეც მათ შორის იყო: ის კველაზე ახდეგზედა მოხსნდა, ამატომ მას კველაზე ბევრს სცემდენ.

და შედარձა ქრისტემ უფალის: „უფალო, უფა-ლო, რად გამოსმეგავნე ჯე?“ — და როგორც უწინ, ჯგარზე-გული შემოექა.

\* \* \*

ქრისტემ განაგრძო გზა. წინ შეხვდა დადა ქალაქი, რომელსაც ეტებოდა, რომ იქ წინა დღეს ბრძოლა უნდა ეთვიალიერო. ზოგი სასლი დან-გრეული იყო უშმიარებით და ზოგი გამზარული. აუკრებელი სალხი ცხოვრიბდა იმ ქალაქში, მაგრამ ქუჩაში არავით მოხსნდა, რადგან მთავარსარდალს არ სურდა, რომ დაშე ვაიმე გამოსულიერი გარეთ. ქუჩებში მსოდლო შეიარაღებული კარულები და დოლები, სალხი კი სასლებში მიძღვლიულ და თრთოდა.

ქალაქი თორმეტი უბნებდ იყო გაფოვილი. ეთ-ველ უბნები ცალკე სატუსაღო იყო აშენებული. თორმეტივე სატუსაღო ტუსაღებით იყო გაჭედილი. ნეკრიან აატაგზე იწვენ. კარებები და პეტილი იყო, სარკმელებს ფარცები ჭრილი აკრული. ფანჯრებთან და კარგებითან შეიარაღებული დარჯები დაგენ.

ქრისტემ ერთ საქნში შეახედა და დაიხას:

ავად მეფეთა დედაპატი, რომელიც საცხისუბნის ტოლი და, ბრძანება და სელებს აფათურებდა მშეგელები არავინ იყო და წესლის არავინ მდლენები არავინ მერე საქნში გათოთებული ახლგაზდა უმავისობი ეულზე ეულზს აგეთებდა. ქვეით, სარდაფში შეის სორთებში თათო გაცი იყდა. სორთ ისე შა-რიან იყო, რომ პატირები მოგუზულები ისნდენ და წელში კერ გასწორებულიერენ.

ერთ საქნში ფანჯარასთან პირტოტველა უმა-წვიდლი აღგა და ცდილობდა როგორმე ცის ნაჭერი დაეხსნა, მაგრამ იმის წინ მსოდლო მნელი გედუ-ლი აუდებულიაფა.

ემავილმა სელები დასტურ ზუცისკენ და ლთ-ცება დაიწევა.

— შენ, უფალო, გესმის თუ არ ჩემი დადადი? გინ განხინა ეს ქვექნა? შენ თუ ემდგრა? შენ სარ ამ ქვექნას ბატონი, თუ ტარტარზი? სისხლი ნიალვარიგით მოდის. ჩვენი საუბეთესო სალხი ცახებებით დატება. ჩვენი სალხი იდუშება, მაგრამ თუ ვაიმე ხმა მითიღო, მას ისე ჰელვეკენ, როგორც ძაღლის. ახლგაზდა ქალებს მათრახებით სცემენ, დაქარავებული ჯაშუშები სასხლიდან სახ-ლამდის დაწერიან და ფულზე ჭეიდან თავიანთ მექეს. გიჩც გვენესის მათრახის ქვეშ, მას განუშებას უბრძანებენ, მაგრამ ჩვენ არ გამოუმდებით და გე-გათხებით: „დმიტრო! სად არის სამართალი შენი? ჩვენ არ გემანება ჩვენი სიცოცხლე. ჩვენ განხა-ნება მსოდლო ჩვენი სამშობლო. ჩვენი სამშობლო იდუშება და შენ, უფალო, ისეს იგი სინმ დროა, თორუმ მერე გმირანდა აქვება.

\* \*

და წარუდგა ქრისტე ჭაბუკს და უთხრა:

— ნუ შედები, რომეთუ მე შენთან ვარ. მეც მტანჯეს და მაწმეს სალხისადმი სიეფარულისთვის. საუბარული სიკვდილზე მდლენერა. არა არს უდ-დიერესი იმ სიეფარულისა, რომელიც ადამიანს თავს განწირვინებს თავის მომის გულისთვის.

— ქვევნის კანონი ბრძოლას და ტანჯებაშია და გარნა ამ გზის სხვა გზა არა არის. ვინც ამ კანონს სრულებას, ის ჩემი მოციქულია.

— ნუ სტრით, როცა გდებიან; ნუ სწუსარ, როცა გამატირებენ, რომეთუ მეც თქვენთან ვარ.

— სად გეძებო ჩემი მოციქულები და ჩემი ქადაგნი? ქადაგნს ეგლესიებში მდოცავ მდვდელთა შორის? როცა მე ვაგაფ ამ ქვექნად, მდვდელები მდევნიდენ მე, მცემდენ სახეში და მიმცეს მტერ-

თა ჩემთა. დღეს ისინი კნათა თვისითა შიწაჭებენ მე, ხოლო გული მათთ ცაფა, ვთა სამარე; კერძოთათ უვასისის მცემლების არ აცოდენ და ცოდვის ჩადოდენ, უსენი კი სხვას ასწავლის და თვათონ ცოდვით საფრენი არას; ქადაგებენ სიყვარულს, საქმით კი სთესენ სიძულვილს.

— სად ვეძით ჩემი მოციქულები? მდადრულ და საუცხოვო სასისლების მცხოვრებ ბატონთა და მსრბანელთა შორის?

— მაგრამ უწინ მათ მომისაფეს ოსწავა და საგვდილი. დღეს კი ისინი ჩემს მცნებას ცუცხლოთა და მახვილით სთედავნ. მე მაწოდებენ მეუფეთა მეფეს, მაგრამ მე მეუფე არ ვარ. მე ვარ დამტკიცი და მეგობრთა უველა ტანჯულის და დახარულის.

— ან აქება ჩემი მოციქული მსედართა შორის უნდა ვეძით?

— მსედრების თავზე ეპლის გმირგვინი დამადეს და ფეხის ჩემნა და სეღნის ჩემნა დურსმით მიაკრეს ვგარჩე.

— გული მდადრის ურუ არს მშიერის კენუსისადმი. ბედნიერთ არ ესმით უბედურთა ტანჯვა, ხოლო ძლიერნი უძლეურთ სისხლში ასხჩაბენ. ჩემი გული უბედურებოთნ, ტანჯულებოთნ და მშიერებოთნ არის. მათ შორის მე დავუწებ ძებნის მოციქულების, რამე თუ ჩემი მოციქულოს გულიც მუდმივ უბედურ ძმებოთნ არს.

— ჩემ მოციქულების აქვთ რწმენა და გული. რწმენასთვის ისინი დეგნის ატანენ და სიპვდილსაც არ ერთდებან.

— სატუსადოებში დავუწებ ძებნის ჩემნის მოციქულების, რამე თუ მეც სატუსადოში ვიყენა.

— ნუ სწერათ, როგორ გდევნიან და საბერო ბილებში გამამდებენ, რამე თუ ამ ქვემანის მე მოვალეან მახვილი და არ მშედებითა შემცირებითა. შეიალნია ადზღვების წინააღმდეგ მამებისა, მონები—წინააღმდეგ ბატონებისა და ქალწულები—წინააღმდეგ მსედრებისა. მინდვრები უარს ამბობენ ნეუთვის მოტანაზე, მდინარეები შრებიან, კლდეები გრალით ინგრევიან და დედამიწა გუბუნებს და ინდება.

— ქვემის განკურნების დღე ახლოა.

— აცოდეთ, რომ, თუ უმანქო მშედვი ვაუფხსა ჭიდავს, ჩემი მოსვლის დღე ახლოა.

— თუ ნაზა ჭაბუკი თავის საცოცხლეს არ ინდობს, ჩემი მოსვლის დღე ახლოა.

— თუ სიღვდის სამჯედროში კანკერისტების მახვილს სულეავებენ და ნამდებელის განკურებულის გეობენ, ჩემი მოსვლის დღე ახლოა.

— ადგმის დღე საცა მოცელის გა ქვებას, რამე თუ ქვემის ბატონი გახმენ და ქარაშნადი მოსტებას მათ და გადაჭირის უდაბნოს შინ:

— და დაზინუების უველ მსრუ სისხლის მდგრელი და დაწებებენ მაღვეს, მაგრამ მასტელი მათ ველგან მოძების და ტეუალი აქება მათი შედერა და კალათა დრუენ. რამეთუ ვინ ქარს დასოესავს, იგი ქარაშნადის მოაქის და ვინც ეცდება ზღვის დამონებას, იგი ზვაროებში დარღვება.

— ასე სოქვა ქემ დუთისმ ქრისტემ:

— ქემმარატ ბეტოვით თქმება: თქმენივე თვალით ნახვით ადგმის დღეს, თქმენივე თვალით ნახვით სიმართლის დი შერის ძიების დღეს.

### ურის შამიებელი.

### „გლეხის“ აგენტები პროცესიებში.

**ქ. ქუთაისი:** ქალაქის საბჭო, ვიქტორ მახვილაძე. წიგნის მაღიზია „ბოლხიძა“.

**ქ. ბათუმი:** ქალაქის საბჭო, პ. გამურელიძე.

**საღვარი საშური:** კასირი გორგო ჩარხიშვილი.

**ქიათურია:** ბ. ბერიძე. ილიკო კაკაბაძე.

**უცირილა:** წიგნის მაღიზია გაჩეჩილაძის. პლატონ ლევაზა.

**ფოთი:** ონისიმე ქვანია. მიხეილ ესაკა.

**სამორიდია:** კორილე კოხრეძე.

**ლილი-ჭიბუშიშვილი:** ნიკოლოზ სოსელია.

**ქ. გორი:** მიხა ალუშვილი.

**ქ. ლუშეთი:** მლედ. ტაცუნა უვილი. ზაქ. სვიმონიძე.

**ქ. თელავი:** ივანე პაატა უვილი.

**ქ. სილნალი:** გიგო უაშმელა უვილი.

**დ. ხონი:** მოსიკო ჭელიძე.

**დ. ცხინვალი:** ნიკო კასრაძე.

**ქ. თბილისი:** პარმენ თოთიძე და გაზეთის ბიურო ტურუშისა.

**ქ. სოხუმი:** ბ. მიძიგური. ბ. თელო სახოკა.

**ქ. ახალციხე:** კოსტანტინე გვარამაძე.

ყველა ზემოხსენებულ პირებთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „გლეხზე“

### რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი.

სტამბა „ი დ ე ა ლ ი“ (მ. დ. კიკნაძისა)

ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.